

კოლის ზედრმა ჭაბურღილი

დავით მიქავა

davit.mikava374@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

კოლის ჭაბურღილი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური გეოლოგიური პროექტი, რომლის მიზანი იყო დედამიწის ქერქის სიღრმის შესწავლა. პროექტი დაიგეგმა როგორც საპასუხო ნაბიჯი ამერიკული პროგრამის, „მოჰოლას“ წინააღმდეგ და მალევე გადაიქცა სამეცნიერო და სტრატეგიულ ექსპერიმენტად. მოხსენებაში განხილულია ჭაბურღილის გაყვანის მიზეზები, მისი მდებარეობის შერჩევის ლოგიკა და სამეცნიერო შედეგების მოლოდინები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ტექნიკურ გამოწვევებს, როგორცაა მაღალი ტემპერატურა, წნევა, ბურღვის სირთულეები და მოულოდნელი აღმოჩენები, მათ შორის სიღრმეში აღმოჩენილი მიკროფოსილები და წყლის კვალი. ასევე, გავანალიზებთ, როგორ აისახა ეს პროექტი თანამედროვე გეოლოგიურ კვლევებზე და რა ხდება დღეს დრმა ბურღვის ტექნოლოგიებში. ასევე მიმოხილული იქნება კოლის ჭაბურღილის მეცნიერულ, ტექნოლოგიური და ისტორიული მნიშვნელობა.